# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 30

(გამარტივებული შესყიდვა მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N26 დადგენილების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის 3-ე პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2012 წლის 13 იანვარს ქ. თბილისში

**შემსყიდველი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო,** მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის ნინო მურჯიკნელის სახით.

**მისამართი:** ქ. თბილისი, ჭანტურიას ქუჩა №12, ტელეფონი 299-10-76

**საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა №200122900, ს/კ 203840433

**მიმწოდებელი: შპს "იბერია ტექ ავტომოტივი"**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 236093473**
**მისამართი:** მარშალ გელოვანის გამზირი
**ხელმძღვანელი:** დირექტორი ლაშა მიგინეიშვილი
**საბანკო რეკვიზიტები:** სს "საქართველოს ბანკი"; ბანკის კოდი BAGAGE 22; ანგარიშის № GE29BG0000000153512100.

ერთი მხრივ – **შემსყიდველი**, და მეორე მხრივ – **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში სამინისტროს ბალანსზე რიცხული ოთხი ავტომანქანის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა დანართის შესაბამისად **(CPV-50112200)**.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: **605.00 ლარი.**

ექვსას ხუთი ლარი და 00 თეთრი
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

3.1.1 ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია დანართით

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

## 4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება დანართისა და მასში მითითებული საგარანტიო პირობების შესაბამისად;
ბ) მომსახურება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

**4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:**
ა) შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

**4.3 შემსყიდველი ვალდებულია:**
ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება;

**4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:**



შეთანხმებულია იურიდიულ დეპარტამენტთან
13 01 2012 წ.
ფურცელი

ა) მიმწოდებლისგან მოითხოვოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას;

ბ) შეამოწმოს მომსახურების გაწევის ხარისხი, მომსახურების გაწევის მიმდინარეობა.

## 5. ანგარიშსწორების წესი

5.1 მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება 6.3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;

5.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

## 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.2 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი უნაკლო მომსახურების გაწევის დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს მომსახურებასთან ერთად წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია. ანგარიშსწორების სავალდებულო წინაპირობა მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად არის დეფექტური აქტი და ანგარიშ-ფაქტურა.

6.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს თემურ ჩაჩიბაიას.

## 7. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

7.1 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი.

7.2 მომსახურება უნდა განხორციელდეს **2012 წლის 13 იანვრიდან 2012 წლის 20 იანვრის ჩათვლით.**
ხელშეკრულება ძალაში შედის **2012 წლის 13 იანვრიდან** და მოქმედებს **2012 წლის 17 თებერვლის ჩათვლით.**

7.3 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის ა)ქვეპუნქტი, მე-9 მუხლის 9.3 პუნქტი მოქმედებს ხელშეკრულების დანართში მითითებული საგარანტიო ვადის ამოწურვამდე.

## 8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი თემურ ჩაჩიბაია.

8.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არსებითად დარღვევისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

9.3 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.4 არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს უხარისხო მომსახურების გაწევა. ამასთან, არაჯეროვნად გაწეულად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნაკისრი აქვს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით, გარდა 9.5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

9.5 მიმწოდებლის მიერ დაგვიანებით შესრულებას წარმოადგენს მომსახურების გაწევის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევა, რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.6 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.



შეთანხმებულია იურიდიულ დეპარტამენტთან
1-ჯგ
13. 01 2012 წ.

## 10. ᲤᲝᲠᲡ-ᲛᲐᲟᲝᲠᲘ

10.1 ხელშეკრულების პირობების ან ცალკეული მუხლის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა ნების გამოვლენასთან, შეცდომებსა და დაუდევრობასთან და გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ან/და გამოწვეულია დაუძლეველი ძალის დადგომით, ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას როგორც ფორს–მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.

10.3 ხელშეკრულების მიზნებისათის „ფორს–მაჟორად" მიჩნეული შეიძლება იყოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, კარანტინი, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და სხვა.

## 11. ᲡᲐᲓᲐᲕᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ

11.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით და ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.

11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

## 12. ᲡᲮᲕᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

12.1 .ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის ატარებს წერილობით ფორმას. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ფაქსის მეშვეობით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე.

12.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12.3 წინამდებარე ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, რაზედაც მხარემ წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 2 დღით ადრე, ასეთი განზრახვის შესახებ.

12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

## 13. ᲛᲮᲐᲠᲔᲗᲐ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲔᲑᲘ

ᲨᲔᲛᲡᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი

ᲜᲘᲜᲝ ᲛᲣᲠᲯᲘᲙᲜᲔᲚᲘ

ᲛᲘᲛᲬᲝᲓᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

შპს "იბერია ტექ ავტომოტივი" დირექტორი

ᲚᲐᲨᲐ ᲛᲗᲑᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲗᲐᲜ
1-ვგვ
13.04 2012 წ.

დანართი

გაწეული მომსახურების ჩამონათვალი

| | გაწეული მომსახურება | რაოდ | განზ | ერთ. ღირ. | ფასი | გარანტია |
|---|---|---|---|---|---|---|
| №1 | **TOYOTA CAMRY** გამოშვების წელი 2008; სახელმწიფო № VTV-766 | | | | | |
| | ჰაერის ფილტრის შეცვლა | 1 | ც | 10 | 10 | გარანტია 2 თვე |
| | ჯამი 10.00 ლარი | | | | | |
| №2 | **TOYOTA PRADO** გამოშვების წელი 2009; სახელმწიფო № ZGZ-799 | | | | | |
| | წინა ხუნდების შეცვლა | 1 | მომს. | 10 | 10 | გარანტია 15000 კმ. |
| | ჯამი 10.00 ლარი | | | | | |
| №3 | **TOYOTA CAMRY** გამოშვების წელი 2008; სახელმწიფო № VUV-532 | | | | | |
| | უკანა შტანგის რეზინების აღდგენა | 4 | ც | 37.5 | 150 | გარანტია 2 თვე |
| | სალონის ფილტრის შეცვლა | 1 | ც | 10 | 10 | გარანტია 2 თვე |
| | წინა ამორტიზატორის მ/დ | 2 | ც | 30 | 60 | გარანტია 2 თვე |
| | წინა და უკანა სტაბილიზატორის (სტერჟინი) მ/დ | 4 | ც | 15 | 60 | გარანტია 2 თვე |
| | უკანა ამორტიზატორის და ბალიშის მ/დ | 2 | ც | 40 | 80 | გარანტია 2 თვე |
| | უკანა შტანგის მ/დ | 2 | ც | 30 | 60 | გარანტია 2 თვე |
| | წინა და უკანა ხუნდების შეცვლა | 2 | ც | 10 | 20 | გარანტია 15000 კმ |
| | თვლების გასწორება (რაზვალი) | 1 | ც | 30 | 30 | |
| | ჯამი 470.00 ლარი | | | | | |
| №4 | **TOYOTA PRADO** გამოშვების წელი 2007 სახელმწიფო №TKO-777 | | | | | |
| | წინა სამუხრუჭე დისკის მ/დ | 2 | ც | 30 | 60 | გარანტია 2 თვე |
| | საბურავის ბალანსირება | 2 | ც | 5 | 10 | |
| | წინა ხუნდების შეცვლა | 1 | მომს. | 10 | 10 | გარანტია 15000 კმ. |
| | სამუხრუჭე სისტემიდან ჰაერის გამოდენა | 1 | მომს. | 30 | 30 | |
| | ნათურის შეცვლა | 1 | ც | 5 | 5 | გარანტია 2 თვე |
| | ჯამი 115.00 ლარი | | | | | |
| | საერთო ღირებულება **605.00** ლარი | | | | | |

საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი — ნინო მურჯიკნელი

შპს "იბერია ტექ ავტომოტივი" — ლაშა მიზინეიშვილი